ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების
ცენტრი

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები
(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65)

- მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან.
- უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები.
- დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.
- კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ უნდა მიუთითოთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ ბიულეტენები.
- მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი.

ყურადღება!

- მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. გამონაკლისია „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსებაში.

- საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

- უფლება გაქვთ, ამომრჩევლის მიერ სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის/ბიულეტენების მოთავსებამდე მოსთხოვოთ მას, გიჩვენოთ, რომ ხელში დადგენილი რაოდენობის (არაუმეტეს 3) საარჩევნო ბიულეტენი და ერთი სპეციალური კონვერტი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.